ხელშეკრულება N 35

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი "26" 02 " 2018 წ.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ-საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №83ა, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი- TRESGE22, საიდ. კოდი-205316497), შემდგომში წოდებული **„შემსყიდველად"**, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ალექსანდრე ხვადაგიანის** სახით და **შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი"** (ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №18ა, საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი", ბ/კ: BAGAGE22, ა/ა GE81BG0000000173317400, ს/კ-205129617), შემდგომში წოდებული **„მიმწოდებლად"**, წარმოდგენილი მისი სპეციალური მმართველის გიგლა თამაზაშვილის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

გაზის სარეგულაციო მოწყობილობის (რეგულატორი) მონტაჟი

(CPV-45300000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **1 156 (ერთი ათას ასორმოცდათექვსმეტი) ლარი. (დაფინანსების წყარო, საკუთარი სახსრები.)**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულების ძალაში შესვლისა **და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებართვების წარმოდგენა/მოპოვებიდან** არა **უგვიანეს 30 სამუშაო დღის განმავლობაში,** შემდეგ მისამართზე: ქ. **თბილისი,ქ. თბილისი, თბილისის ზღვის ტერიტორია.**

4.1.2. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

4.1.3. შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1. უზრუნველყოს სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ნებართვების/თანხმობების მიღება და მათი გადაცემა მიმწოდებლისთვის, თუ აღნიშნული ნებართვების/თანხმობების მოპოვება კანონმდებლობის შესაბამისად არ წარმოადგენს მიმწოდებლის ვალდებულებას.

4.2.2. უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

4.2.3. გადაიხადოს მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობითა და წესით;

4.2.4. შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. მომსახურების ხარისხი

მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი ხელშეკრულების შესრულებაზე.

6.2 შემსყიდველის მხრიდან კონტროლს განახორციელებს **საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ-საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს** ლოჯისტიკის სამმართველოს უფლებამოსილი პირი. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გამოასწოროს წუნი ან, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.3 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება, უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება ხორციელდება კონტროლის განმახორციელებელი პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლები.

7.2 ამ მუხლის „7.1" პუნქტის შესასრულებლად შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მომსახურების დასრულებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში გადასცეს მიმწოდებელს ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო მომსახურების წუნის გამოვლენის შემთხვევაში იმავე ვადაში წერილობით წარუდგინოს მას მოტივირებული უარი მომსახურების მიღებაზე. თუ მოცემული ვადის გასვლის შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველისაგან არ მიიღებს ხელმოწერილ მიღება-ჩაბარების აქტს ან მის ხელმოწერაზე მოტივირებულ უარს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტი ჩაითვლება ხელმოწერილად.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

8.1.1. ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

8.1.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტისა (ფორმა 2-ის) და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან, 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 მომსახურების გაწევის ვადის დარღვევის ან 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი მომსახურების ღირებულების **0,1%-ის** ოდენობით. აღნიშნულ შემთხვევაში, მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მისთვის გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუქტით განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა გადაუხდელი თანხის **0,1%-ის** ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.3 პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულების წარმოშობის შემთხვევაში, პირველად დაიფარება პირგასამტეხლო, ხოლო შემდგომ ძირითადი თანხა. პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, მომხმარებლის მიერ მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე გადახდილი ნებისმიერი თანხა პირველ რიგში წარიმართება დავალიანების დასაფარავად, საიდანაც თავდაპირველად დაიფარება პირგასამტეხლო და შემდეგ დავალიანების ძირი თანხა.

10.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **10%** (ათი პროცენტს), შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

საფუძველი: საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ-საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ლოჯისტიკის სამმართველოს ექსპლუატაციისა და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების 2018 წლის 09 თებერვლის N-გ/3 პატაკი.

17. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო მისამართი: ქ. თბილისი, გორგასალის ქ. N83ა საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, ს/კ - 205316497	**შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი"** მისამართი: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №18ა, საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი", ბ/კ: BAGAGE22, ა/ა GE81BG0000000173317400 ს/კ-205129617.
სააგენტოს დირექტორი	სპეციალური მმართველი
ალექსანდრე ხვადაგიანი	გიგლა თამაზაშვილი

გავეცანით ხელშეკრულების პირობებს და მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით
„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად

სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს
ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსი

შ.ლობჟანიძე

სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს
ლოჯისტიკის სამმართველოს მარაგების უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი

კ.ბრეგვაძე

სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს
შესყიდვების სამმართველოს უფროსი

მ.სიჭინავა

სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს
შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოადგილე

ნ.როსტომბაია

სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს
შესყიდვების სამმართველოს
წამყვანი სპეციალისტი

ა.ყიფიანი